ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N20/ბ

მცხეთა 02 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილისი მედიკი“ შემდგომში „მომწოდებელი” წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან. ნადირაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 2 (ორი) ერთეული საოქსინეგაციო ჟანგბადით გასამდიდრებელი მოწყობილობის შესყიდვა. (CPV42996600)

2. საქონლის მიწოდების ვადა და საერთო ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2018 წლის 02 თებერვლიდან 2018 წლის 15 მაისის ჩათვლით.

საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად.

1 (ერთი) ერთეული საოქსინეგაციო ჟანგბადით გასამდიდრებელი მოწყობილობის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

მეორე ერთეული საოქსინეგაციო ჟანგბადით გასამდიდრებელი მოწყობილობის მიწოდების ვადაა არაუმეტეს 2018 წლის 15 მაისისა.

2.2 სახელშეკრულებო ღირებულება 2600 (ორი ათას ექვსასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 საქონლის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განყოფლების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ლევან ქიტუაშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
მცეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს„თბილისი მედიკი"
ს/კ 236099789	მის: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №34
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	სს „პროკრედიტ ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: MIBGGE 22
ხაზინის კოდი: TRESGE22	ა/ნ GE62PC0413600100002573
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ს/კ 404865286
ტელ: 2512696	ტელ: 595 79 40 50
მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
გიორგი კაპანაძე	ლევან ნადირაშვილი

მცხეთა 02 თებერვალი 2018 წელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. (შპს „თბილისი მედიკი“ ს/კ 404865286). ხელშეკრულება 20/ბ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკის განყოფლების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი ლევან ქიტუაშვილი